სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმა“

სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის დასახელება: გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმა **დამგეგმავი ორგანო:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი: დუშეთის მუნიციპალიტეტი;
საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2021 წლის 26 ნოემბერი, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ.№27, 13:00 საათი.

როგორც თქვენთვის ცნობილია, **2018 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ნაწილი - ამავე კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და ზოგადი პროგნოზირების პროცედურა. სგშ პროცედურის გავლა სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს გამოცემულ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტს, რომლითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო კოდექსით განსაზღვრულ სექტორებში (სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, ნარჩენების მართვა, წყლის რესურსების მართვა, ელექტრონული კომუნიკაციები, ტურიზმი, დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა) და კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები.

გაცნობებთ, რომ „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის“ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №2-269 ბრძანებით გაიცა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების **სკრინინგის გადაწყვეტილება.**

ამასთან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 13 აპრილის №2-434 ბრძანების საფუძველზე გაცემულია „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების **სკოპინგის დასკვნა**“.

2021 წლის 4 ოქტომბრის №01/3429 წერილით სამინისტროში წარმოდგენილ იქნა „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის“ პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიში და „გუდაურის მაღლობების“ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რის საფუძველზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოებები **რეკომენდაციების გაცემის მიზნით.**

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და „გუდაურის მაღლობების“

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტთან დაკავშირებთ **საჯარო განხილვა** **გაიმართება 2021 წლის 26 ნოემბერს, ქ. დუშეთში (მისამართი: რუსთაველის ქ.№27, 13:00 საათი).** განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

საჯარო განხილვის დროს ხელმისაწვდომი იქნება პროექტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ნაბეჭდი სახით. მოთხოვნის შემთხვევაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დამგეგმავი ორგანო უზრუნველყოფენ აღნიშნული რეკომენდაციების/დოკუმენტაციის ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.

იხ. საჯარო განხილვის წესი

წარმოდგენილ სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებული **წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ** წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **2021 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge